სიმონ გურეშიძე
გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

ომი სუდანში-რეგიონულ და საერთაშორისო აქტორთა ურთიერთობების ერთ-ერთი ნიმუში

აბსტრაქტი

სუდანში მიმდინარე ომმა, თავის სირთულით, პროცესებში ჩართული შიდა და გარე აქტორების ინტერესებით, მოქმედებათა მრავალფეროვნებითა და მოტივაციებით, გარდა იმისა, რომ ძალზე საინტერესო პოლიტიკური, ეკონომიკური და სტრატეგიული კომბინაციების კონტურები გამოკვეთა, გასცდა რეგიონულ მასშტაბებს და გარკვეულ დონეზე საერთაშორისო ხასიათიც შეიძინა. აღნიშნულ ქვეყანაში განვითარებული მოვლენების ხელახალი გააზრება და ანალიზი თავის მხრივ პასუხს სცემს სტატიაში განხილული ქვეყნების მიერ ბოლო პერიოდში განხორციელებული ცვალებადი პოლიტიკის გამომწვევ მიზეზებს და ასევე გარკვეული სახის ინდიკატორებსაც გამოკვეთს, რომლებიც მეტ-ნაკლებად დაეხმარებიან დაინტერესებულ პირებს, წარმოდგენა შეექმნათ იმ პოლიტიკურ ფასეულობებსა და ინტერესებზე, რასაც უკანასკნელ პერიოდში მიჰყვებიან აღნიშნულ დაპირისპირებაში ჩართული მთავარი შიდა და გარე მოთამაშეები. სტატიის მიზანს წარმოადგენს იმის მცდელობაც, რომ ჩამოყალიბდეს დღესდღეობით მოქმედი პოლიტიკური, ეკონომიკური, გეოპოლიტიკური და სტრატეგიული მოქმედებების ხასიათისა და თავისებურებების შესახებ გარკვეული სახის როგორც შეხედულება ასევე დასკვნაც.

სუდანის კონფლიქტში მეტ-ნაკლები ინტენსივობით სხვადასხვა პერიოდში საკმაოდ ბევრი გარე აქტორია ჩართული: არაბთა გაერთიანებული საამიროები, თურქეთი, რუსეთი, ისრაელი, ეგვიპტე, საუდის არაბეთი, ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი, რის გამოც წამოჭრილი გამოწვევების სიღრმისეულად აღქმის მიზნით, მიმდინარე პროცესებზე მუდმივი დაკვირვების გარდა, პარალელურ რეჟიმში როგორც ფუნდამენტური, ასევე თანმიმდევრული სიტუაციური ანალიზის წარმოებაა საჭირო.

საკვანძო სიტყვები: *სუდანის კონფლიქტი, რეგიონული და საერთაშორისო აქტორები, უსაფრთოხება, ფინანსები*

2022 წლიდან რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინაში შეჭრით გამოწვეულმა ომმა, განსაკუთრებით კი 2023 წლის 7 ოქტომბერს ჰამასის მიერ ისრაელის მოქალაქეების წინააღმდეგ მოწყობილი მასშტაბური ტერაქტის შედეგად დაწყებულმა საპასუხო ანტიტერორისტულმა ოპერაციამ, რომელიც ასევე დღემდე გრძელდება და ისრაელ-ჰეზბოლას სამხედრო დაპირისპირებაში გადაიზარდა, რასაც თეირანში ჰამასის ხელმძღვანელის ისმაილ ჰანიას და ბეირუთში ლიბანის ჰეზბოლას ლიდერის ჰასან ნასრულ ლაჰის ლიკვიდაციასთან ერთად ირან-ისაელს

შორის პირდაპირი სამხედრო საჰაერო იერიშებიც მოჰყვა, მსოფლიოს ყურადღება მთლიანად მიიპყრო და გარკვეულ დონეზე გადაფარა სუდანში მიმდინარე ომი. ამ უკანასკნელ შეიარაღებულ კონფლიქტზე ინფორმაციები შედარებით ნაკლებია ზემოთ ხსენებულ ომებთან შედარებით. თუმცა თავის სირთულით, პროცესებში ჩართული შიდა და გარე აქტორების ინტერესებით, მოქმედებათა მრავალფეროვნებითა და მოტივაციებით, გარდა იმისა, რომ ძალზე საინტერესო პოლიტიკური, ეკონომიკური და სტრატეგიული კომბინაციების კონტურები გამოკვეთა, გასცდა რეგიონულ მასშტაბებს და გარკვეულ დონეზე საერთაშორისო ხასიათიც შეიძინა. აღნიშნულ ქვეყანაში განვითარებული მოვლენების ხელახალი გააზრება და ანალიზი თავის მხრივ პასუხს სცემს სტატიაში განხილული ქვეყნების მიერ ბოლო პერიოდში განხორციელებული ცვალებადი პოლიტიკის გამომწვევ მიზეზებს და ასევე გარკვეული სახის ინდიკატორებსაც გამოკვეთს, რომლებიც მეტ-ნაკლებად დაეხმარებიან დაინტერესებულ პირებს, წარმოდგენა შეექმნათ იმ პოლიტიკურ ფასეულობებსა და ინტერესებზე, რასაც უკანასკნელ პერიოდში მიჰყვებიან აღნიშნულ კონფლიქტში ჩართული მთავარი შიდა და გარე მოთამაშეები. სტატიის მიზანს წარმოადგენს იმის მცდელობაც, რომ ჩამოყალიბდეს დღესდღეობით მოქმედი პოლიტიკური, ეკონომიკური, გეოპოლიტიკური და სტრატეგიული მოქმედებების ხასიათისა და თავისებურებების შესახებ გარკვეული სახის როგორც შეხედულება ასევე დასკვნაც.

ჯერ კიდევ 2019 წლიდან, მას შემდეგ რაც პოსტიდან იძულებით გადააყენეს პრეზიდენტი უმარ ალ-ბაშირი, სუდანში დაწყებულ დაპირისპირებაში მეტ-ნაკლები ინტენსივობით სხვადასხვა პერიოდში საკმაოდ ბევრი გარე აქტორია ჩართული: არაბთა გაერთიანებული საამიროები, თურქეთი, რუსეთი, ისრაელი, ეგვიპტე, საუდის არაბეთი, ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი. ყოველ მათგანს საკუთარი ინტერესების გარდა მოქმედების განსხვავებული დღის წესრიგი გააჩნია, რაც ქვემოთ უფრო ვრცლად იქნება გაშუქებული. მოვლენები ძალზე ჩახლართულად გამოიყურება, რის გამოც მიმდინარე პროცესებზე მუდმივი დაკვირვების გარდა, პარალელურ რეჟიმში როგორც ფუნდამენტური, ასევე თანმიმდევრული სიტუაციური ანალიზის წარმოებაა საჭირო. 2023 წლის აპრილიდან სუდანში დაწყებულმა დაპირისპირების მორიგმა ტალღამ ერთი წლის განმავლობაში ამ ქვეყნის ასეულობით ათასი მოქალაქის სიცოცხლე შეიწირა და მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ლტოლვილად ან ქვეყნის შიგნით იძულებით ადგილ ნაცვალ პირად აქცია. კონფლიქტის მთავარი შიდა აქტორები არიან:

1) სუდანის შეიარაღებული ძალები;
2) სწრაფი რეაგირების ძალები;
3) სუდანის გათავისუფლების მოძრაობა, რომელიც თავის თავში სხვადასხვა დაჯგუფებებს აერთიანებს;
4) ჩრდილოეთ სუდანის სახალხო გამათავისუფლებელი მოძრაობა;
5) გაერთიანებული ბრძოლის შეიარაღებული მოძრაობის ძალები;
6) თავისუფლებისა და ცვლილებების ძალები.[1]

სტატიაში ყურადღება ორ მათგანზე: სუდანის შეიარაღებულ ძალებსა და სწრაფი მხარდაჭერის ძალებზეა გამახვილებული.

[1] Who's who in Sudan's new civil war? Sudan War Monitor.
Aug 31, 2023. Last modified Oct. 30, 2024 https://sudanwarmonitor.com/p/whos-who-in-sudans-new-civil-war

დაპირისპირებულ მხარეებს შორის რამდენიმე თვის განმავლობაში გარკვეულმა პაუზამ დაისადგურა. მთელი ამ ხნის განმავლობაში სწრაფი მხარდაჭერის ძალები დაკავებულ ტერიტორიებზე დამაგრებას და გარკვეული სახის ადმინისტრაციული მმართველობითი ორგანოების ჩამოყალიბებას ცდილობდნენ. სამთავრობო ძალები კი გადაჯგუფებას, ძალების მოკრებასა და საპასუხო შეტევის განხორციელებას. 2024 წლის 26 სექტემბერს კონფლიქტმა ახალი ძალით იფეთქა, მას შემდეგ, რაც სამთავრობო ძალები გენერალ ‘აბდ ალ-ფათაჰ ალ-ბურჰანის მეთაურობით კონტრშეტევაზე გადავიდნენ თავიანთი მოწინააღმდეგის, სწრაფი მხარდაჭერის ძალების წინააღმდეგ, რომელსაც მუჰამმად ჰამდან დაკალუ, მეტწილად ჰამიდთის - „პატარა მუჰამმადის“ სახელით ცნობილი გენერალი ხელმძღვანელობს. დაკალუ მაჰარიას ტომს მიეკუთვნება რიზაიქათების (დარფურსა და ჩადში მცხოვრები არაბულ ენოვანი ტომები) თემიდან. მან იარაღი პირველად 2003 წელს დაწყებული დარფურის კონფლიქტის დროს აიღო და შეუერთდა ჯანჯავიდების სახელით ცნობილ, არაბული ტომებით დაკომპლექტებულ, შეიარაღებული დაჯგუფებების კონგლომერატს, რომელთა ძირითად საქმიანობასაც თავის დროზე დარფურსა და ჩადში აქლემებით ვაჭრობა წარმოადგენდა. სწორედ ამ პერიოდში მიიპყრო მან ექს პრეზიდენტ უმარ ალ-ბაშირის ყურადღება, რომელიც მისი მმართველობის წინააღმდეგ 2003 წელს დარფურში დაწყებული აჯანყების მონაწილე არა არაბი რევოლუციონერების წინააღმდეგ სწორედ ჯანჯავიდების რეკრუტირებას ეწეოდა. ჰამდითიმ საკმაოდ სწრაფად მიიღო მეთაურის წოდება. ადამიანის უფლებათა დამცველი ჯგუფები დარფურის კონფლიქტის მიმდინარეობის პერიოდში ჯანჯავიდებს ადანაშაულებდნენ სამხედრო დანაშაულებებში-სამოქალაქო პირების მკვლელობებში, გაუპატიურებასა და წამებაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამხედრო დანაშაულებში (სამოქალაქოების დაბომბვა, დაპატიმრება, წამება) სუდანის შეიარაღებულ ძალებსაც ამხელდნენ.[2] ზემოთ ხსენებული სწრაფი მხარდაჭერის ძალები დაკალუს ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა 2013 წელს, რომლის რიგებშიც ახალ ძალად გაერთიანებული იყვნენ ჯანჯავიდები ალ-ბაშირის დაზვერვისა და უსაფრთხოების სამსახურების მფარველობის ქვეშ. ჰამიდთის სულ უფრო მეტად ეყრდნობოდა ექს პრეზიდენტი, რომელიც მას დამატებით უფლებამოსილებას და მოქმედების სრულ თავისუფლებას ანიჭებდა. მან გენერალ ლეიტენანტის წოდება მიიღო მას შემდეგ, რაც ხელში ჩაიგდო ოქროს საბადო, რომელიც მანამდე კონკურენტი ტომის ლიდერს ეკუთვნოდა. მიუხედავად იმისა, რომ მისი პოპულარობა, ბიზნეს ინტერესები, ასევე ჰამიდთის ოჯახის მიერ ოქროს მომპოვებელი საბადოების კონტროლი სულ უფრო იზრდებოდა ალ-ბაშირის ხელშეწყობით და პირადად ჰამიდთიმ ბევრი სარგებელი ნახა მისი პრეზიდენტობის დროს, მან მაინც მიიღო აქტიური მონაწილეობა ალ-ბაშირის პოსტიდან ჩამოგდებაში 2019 წელს დაწყებული აჯანყების დროს, რამაც მისი 30 წლიანი მმართველობის პერიოდი დაასრულა.[3]

---

[2] UN experts call for ‘impartial force’ to protect civilians in Sudan. ALJAZEERA, 6 Sep 2024. Last modified Oct. 30, 2024 https://www.aljazeera.com/news/2024/9/6/un-experts-call-for-impartial-force-to-protect-civilians-in-sudan

[3] Who is ‘Hemedti’, general behind Sudan’s feared RSF force? ALJAZEERA, 16 Apr 2023. Last modified Oct. 30, 2024. https://www.aljazeera.com/news/2023/4/16/who-is-hemedti-the-puppeteer-behind-sudans-feared-rsf-fighters

თავდაპირველად ბურჰანი და ჰამიდთი ალიანსში მოქმედებდნენ ყოფილი პრემიერ მინისტრის ‘აბდ ალლაჰ ჰამდუქ ალ-ქანანის სამოქალქო მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც ქვეყნის სამხედრო და სამოქალაქო ძალებს შორის ძალაუფლების გადანაწილების შეთანხმების შედეგად ჩამოყალიბდა 2019 წელს. 2021 წელს, გენერლებმა ჰამდუქის მთავრობის წინააღმდეგ გადატრიალება განახორციელეს და ამით მოულოდნელად დაასრულეს ალ-ბაშირის მმართველობის პერიოდის შემდეგ ჩამოყალიბებული 2 წლიანი გარდამავალი პერიოდი.

ძალაუფლების გადანაწილებასთან ერთად, ორივე მხარეს ფინანსურ ეკონომიკური მოტივაციები და ინტერესები გააჩნიათ, რასაც ძალზე მაღალი ალბათობით არცერთი მხარე არ დათმობს ადვილად. ცნობილია რომ სუდანის არმია თავის სტრუქტურითა და აქტივობით ძალზე წააგავს ეგვიპტის შეიარაღებულ ძალებს, რომელიც თავის ქვეყანაში აკონტროლებს მედიას, სამშენებლო მასალების წარმოებას, გზებისა და სამოქალაქო ობიექტების მშენებლობას, ხორცპროდუქტების გადამუშავებას და ა.შ. ჰამიდთის კონტროლის ქვეშ მყოფი სწრაფი მხარდაჭერის ძალებისთვის შემოსავლის მთავარ წყაროს სამთო მრეწველობა და ოქროს მოპოვება წარმოადგენს. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე საკითხით დაინტერესებულ საექსპერტო და ანალიტიკურ წრეებში 2024 წლის ბოლომდე კონფლიქტის დასრულების რაიმე სახის მყარი გარანტია არ ჩანს ამ ეტაპზე. ვითარებას ართულებს ის გარემოებაც, რომ უმარ ალ-ბაშირის ისლამისტური მოძრაობის მომხრეების საკმაო ნაწილი იბრძვის სუდანის არმიის მხარეს,[4] მართალია ორივე მხარე უარყოფდა ერთმანეთთან კავშირს, მაგრამ როიტერსის მიერ სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით მოპოვებული მასალებით ცნობილი გახდა, რომ აწ უკვე გაუქმებული სუდანის დაზვერვისა და უსაფრთხოების სამსახურის ყოფილი წევრები, რომლებიც ძირითადად ისლამისტები იყვნენ, 6000-მდე მათი წარმომადგენელი შეუერთდა სუდანის არმიას 2023 წლის კონფლიქტის დაწყებამდე რამდენიმე კვირით ადრე. სამხედრო წყაროების განმარტების თანახმად „ისინი იბრძვიან ქვეყნის გადასარჩენად“, ხოლო ისლამისტების წარმომადგენელი აცხადებს, რომ „იცავენ თავიანთ რელიგიასა და იდენტობას“.[5] დამდგარ გამოწვევებს ემატება ისიც, რომ ამერიკის შეერთებული შტატები პასიურ რეჟიმზე გადავიდნენ და ამას თავის მიზეზი გააჩნია. კერძოდ, ბოლო პერიოდში

---

[4] უმარ ალ-ბაშირი ხელისუფლებაში მოვიდა 1989 წელს, სამხედრო გადატრიალების მეშვეობით, რომელსაც სათავეში ედგა ისლამისტური მოძრაობა ეროვნული ისლამური ფრონტი, მოგვიანებით ამ მოძრაობას ეწოდა ეროვნული კონგრესის პარტია. სუდანის ისლამისტური მოძრაობის ფესვები „მუსლიმ ძმებს“ უკავშირდება 1954 წლიდან და ამ ქვეყანაში ისლამიზმის მთავარი იდეოლოგი იყო ალ-თურაბი, რომელიც სათავეში ედგა ისლამისტური პარტიის ჩამოყალიბების შემუშავებას. იგი ასევე ეწეოდა სუდანის სახელმწიფოს შარიათის პრინციპებზე დაფუძნებული მმართველობითი სისტემის შემოღების პროპაგანდასაც.
Sudan’s popular uprising and the demise of Islamism. Munzoul A. M. Assal (2019), Bergen: Chr. Michelsen Institute (CMI Brief no. 2019:3) 4 p. Last modified Oct. 30, 204. https://www.cmi.no/publications/7062-sudans-popular-uprising-and-the-demise-of-islamism

[5] Exclusive: Islamists wield hidden hand in Sudan conflict, military sources say By Khalid Abdelaziz. Reuters - June 28, 2023 Updated a year ago. Last Modified Oct. 30, 2024. https://www.reuters.com/world/africa/islamists-wield-hidden-hand-sudan-conflict-military-sources-say-2023-06-28/

აშშ-სა და არაბთა გაერთიანებული საამიროების დაძაბული ურთიერთობა ახალ დადებით ფაზაში გადავიდა და შეერთებული შტატები ამ ეტაპზე არ მოახდენს საამიროებზე რაიმე სახის ზეწოლას, რომელმაც თავის მხრივ გავლენა უნდა იქონიოს სწრაფი რეაგირების ძალების მეთაურზე.

საამიროები ჰამიდთის აქტიურად უჭერენ მხარს როგორც ბიზნეს პარტნიორს სუდანის ოქროს მოპოვების ნახევრად ლეგალურ ოპერაციაში.[6]

საკითხით დაინტერესებულ სპეციალისტთა ნაწილი, ჯერ კიდევ 2023 წლიდან სუდანსა და ლიბიაში შექმნილი გარემოებებში საკმაო მსგავსებას ამჩნევენ. სუდანშიც, ლიბიის მსგავსად, ურთიერთდაპირისპირებულმა მხარეებმა დეფრაგმენტებულ ქვეყანაში, მოწინააღმდეგე პოლიტიკურმა და სამხედრო ძალებმა თავთავიანთი გავლენის არეალები ჩამოაყალიბეს. სუდანში ასეთ ვითარებას ხელი იმანაც შეუწყო, რომ ყურის თანამშრომლობის საბჭოს წევრი ქვეყნებიდან ორი: საუდის არაბეთი და გაერთიანებული საამიროები აქტიურად იყვნენ ჩართული კონფლიქტში. ბურჰანის საუდის არაბეთი უჭერდა მხარს, ჰამიდთის კი როგორც ზემოთ აღინიშნა საამიროები. მართალია ორივე ქვეყანა აღნიშნული საბჭოს ფორმატში წლების განმავლობაში ერთმანეთთან ალიანსში არიან, მაგრამ მათ შორის გარკვეული დონეზე მაინც არსებობს კონკურენცია სხვადასხვა საკითხებში. თავდაპირველად უნდა აღინიშნოს ის, რომ ორივე ქვეყანა თავის დროზე საკმაოდ მსხვილ ინვესტიციებს ახორციელებდა სუდანში. საამიროებს ჯერ კიდევ უმარ ალ-ბაშირის პრეზიდენტობის დროს ჰქონდა 7,6 მილიარდიანი ინვესტიცია ჩადებული ამ ქვეყნის ეკონომიკაში. აბუ დაბიმ და ერ-რიადმა 3 მილიარდი დოლარით დაუყოვნებლივ დააფინანსეს გარდამავალი სამხედრო საბჭო, რომელმაც ძალაუფლება აიღო ხელში. იმ დროისათვის ორივე ქვეყანა ალიანსში მოქმედებდა და თავის დამხმარე როლი შეასრულეს სუდანის მოკლე ვადიან გარდამავალი დემოკრატიის პერიოდში. რაც შეეხება კონკურენციას, ეკონომიკურის მიზეზების გარდა, ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია საუდის არაბეთის ბრძოლა იემენელი ჰუსიტების წინააღმდეგ, რომლის დროსაც საამიროები საუდის არაბეთის პარტნიორად განიხილებოდა, მაგრამ იმ დროს, როდესაც ერ-რიადმა მხარი დაუჭირა საერთაშორისო დონეზე აღიარებულ პრეზიდენტ ‘აბდ რაბუჰ მანსურ ჰადის, საამიროებმა კი სამხრეთ იემენის გარდამავალი საბჭოს მხარეს დგომა არჩია. ამ ნაბიჯის მოტივაცია იყო აბუ დაბის მიერ კონტროლის დამყარება იემენის პორტების უმრავლესობაზე-ბაბ ელ მანდების სრუტესა და სომალის ნახევარკუნძულზე. აქედან გამომდინარე, გავრცელებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ საუდის არაბეთიც და საამიროებიც სუდანის კონფლიქტს როგორც შანსს, ახლო აღმოსავლეთში საკუთარი ჰეგემონიის განსამტკიცებლად განხილავენ, საფუძველს მოკლებული არ არის. განსაკუთრებით

---

[6] Khalil Al-Anani. The Sudan Crisis: How Regional Actors’ Competing Interests Fuel the Conflict. Arabcenterdc,
May 11, 2023. Last Modified Oct. 30, 2024.
https://arabcenterdc.org/resource/the-sudan-crisis-how-regional-actors-competing-interests-fuel-the-conflict/
Джемаль Бустани. Война, которую мир предпочитает не замечать третья мировая. Haqqin.az, 29 сентября 2024. Last Modified Oct. 30, 2024.
https://haqqin.az/news/328811?fbclid=IwY2xjawF0ZwNleHRuA2FlbQIxMQABHXIETYoOi2s_ias5Hd6I0iKdFI1cwdQoyhDZNpLJKxvKlbX6Cp2hTwZpAw_aem_Jpp5pcmPpwoiH2VAUfqCZg

იმ ცნობილი გარემოების ფონზე, რომ ერ-რიადი და აბუ დაბი სუდანის რესურსებზე, ენერგეტიკაზე და ლოგისტიკურ დერეფნებზე კონტროლის დამყარებას აქტიურ რეჟიმში ცდილობენ. სწორედ ამიტომ საუდის არაბეთი ეხმარებოდა ბურჰანს, საამიროები კი სწრაფი რეაგირების ძალებს, სუდანში 2017 წლიდან გააქტიურებული რუსული დაჯგუფება ვაგნერის მეშვეობით. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ვაგნერელებთან თანამშრომლობის მეშვეობით სწრაფი რეაგირების ძალებისთვის იარაღის მიწოდების ფაქტებს საამიროები მუდმივად უარყოფდნენ.[7]

დამუშავებულ მასალებს შორის ბრიტანული The Guardian-იც აღნიშნავს, რომ არაბთა გაერთიანებული საამიროები სუდანის ოქროს ძირითადი იმპორტიორია და ამ ქვეყანაში წითელი ზღვის სანაპიროზე პორტების განვითარების მრავალ მილიარდიანი გეგმები გააჩნია. ამ მოტივით ახორციელებდა ლოგისტიკურ ოპერაციებს სწრაფი რეაგირების ძალების დახმარების მიზნით და თავისი ქსელის ჩადის, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის, სამხრეთ სუდანის, უგანდის, ლიბიის ეროვნული არმიის უმაღლესი მთავარსარდლის ხალიფა ჰაფთარის შეიარაღებული დაჯგუფებებისა და ვაგნერელების მეშვეობით.

2024 წლის იანვარში გაეროს მიერ წარმოდგენილ ანგარიშში საამიროების მიმართ წარდგენილი ბრალდება სუდანის სწრაფი რეაგირების ძალების დახმარების ნაწილში სარწმუნოდ ცნეს. ამერიკელი კანონმდებლების ნაწილიც ეთანხმებოდა ასეთ შეხედულებას, მაგრამ მთლიანობაში აშშ-ისა და ბრიტანეთის პოლიტიკური სპექტრი მაინც სიფრთხილეს იჩენდა თავის განცხადებებში აბუ დაბის სუდანის კონფლიქტში ჩართულობასთან დაკავშირებით.[8] თუმცა გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ აბუ დაბი ბოლო ორი წლის განმავლობაში საგარეო პოლიტიკის ინტენსიურ დივერსიფიკაციას ახორციელებს. საამიროების ხელისუფლება ცდილობს შეინარჩუნოს მიუმხრობლობის პოზიცია, რაც თავის მხრივ როგორც ვაჭრობის, ისევე ენერგეტიკული და ტექნოლოგიური პროექტების განხორციელებას ეფუძნება. გარდა ამისა მიზნად ისახავს კატარის მსგავსად იტვირთოს წარმატებული შუამავლის როლი და დიპლომატიურ სარბიელზე, დიდ სახელმწიფოთა პოლიტიკური ქცევების გათვალისწინების ფონზე, ფოკუსირებულია შემდეგ ძირითად ელემენტებზე: კაპიტალი, ვაჭრობა, თანამშრომლობა, ურთიერთკავშირი და კლიმატი. აღნიშნულის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია ის ფაქტიც, თუ როგორ ნახა გაერთიანებულმა არაბულმა საამიროებმა დამატებითი სარგებელი რუსეთ-უკრაინის კრიზისიდან, მას შემდეგ, რაც რუსეთის მოქალაქეებმა სანქციების შემდეგ საამიროებში უვიზოდ შესვლა შეძლეს და პარალელურ რეჟიმში ქვეყანაში შეიტანეს დიდძალი რუსული

[7] Talal Mohammad, an associate fellow at the Royal United Services Institute. How Sudan Became a Saudi-UAE Proxy War. Foreign Policy, July 12, 2023, 12:29 PM. Last modified Oct. 30, 2024. https://foreignpolicy.com/2023/07/12/sudan-conflict-saudi-arabia-uae-gulf-burhan-hemeti-rsf/

[8] Husam Mahjoub. It's an open secret: the UAE is fuelling Sudan's war – and there'll be no peace until we call it out. The Guardian, Fri 24 May 2024. Last modified Oct. 30, 2024. https://www.theguardian.com/commentisfree/article/2024/may/24/uae-sudan-war-peace-emirates-uk-us-officials

კაპიტალი.[9] საგარეო პოლიტიკის დივერსიფიკაციის მცდელობის დასტურად შეგვიძლია მივიჩნიოთ ის, რომ ბოლო წლებში აშშ-სთან გართულებული ურთიერთობების შემდეგ, 2024 წლის სექტემბერში არაბთა გაერთიანებული საამიროების პრეზიდენტი შაიხი მუჰამმად ბინ ზაიდ ალ-ნაჰიანი ამერიკის შეერთებულ შტატებს ეწვია, სადაც იგი შეხვდა პრეზიდენტ ჯო ბაიდენს. განიხილეს თანამედროვე ტექნოლოგიების, კერძოდ საამიროების მხრიდან ამერიკული ხელოვნური ინტელექტის ბაზრის 30 მილიარდიანი ინვესტირების დეტალები. პრეზიდენტმა ბინ ზაიდმა ასევე შეშფოთება გამოთქვა რეგიონში ირანის აგრესიული მოქმედებების გამო.[10] საბოლოოდ საამიროების მხრიდან სუდანის კონფლიქტში ჩართულობამ გამოიწვია ის, რომ 2024 წლის სექტემბრის ბოლოს, ამ სახელმწიფოს განცხადების თანახმად, სუდანის შეირაღებული ძალების მიერ მათი ელჩის საცხოვრებელი დაიბომბა ხარტუმში. აღნიშნულზე მძაფრი რეაქცია არა მარტო აბუ დაბის, არამედ სხვა არაბულ ქვეყნებსაც ჰქონდათ, თუმცა სუდანის არმიამ ბრალდებები უარყო და მომხდარი სწრაფი რეაგირების ძალებს გადააბრალა. თან საამიროებს შეახსენა მათი იარაღით მომარაგების საკითხიც.[11] ზემოთ თქმულთან დაკავშირებით იგივე მოსაზრებებს იზიარებს სომალის ნახევარკუნძულის ქალთა სტრატეგიული ინიციატივების რეგიონული დირექტორი საიდ ჰალა ალ-კარიბი და მისი მოსაზრებები თანხვედრაში მოდის ამერიკული უნივერსიტეტის საერთაშორისო სერვისების სკოლის უფროს ლექტორ კვაკუ ნუმაჰთან, იმის შესახებ, რომ სუდანის შეიარაღებული ძალების უკან ირანი და ეგვიპტე დგანან. ნუამაჰის განმარტების თანახმად: სუდანის კონფლიქტში ირანის დამოკიდებულება თავის დროზე ნეიტრალური იყო, მაგრამ ახლა ალ-ბურჰანის ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერია - რაც თავის მხრივ ორი ფაქტორითაა გამოწვეული: თეირანსა და სუდანის ძველ ხელისუფლებას შორის თავის დროზე დამყარებული კარგი ურთიერთობებითა და თანამედროვე გეოპოლიტიკური პრობლემებით, რომელიც სანქციების ფონზე ირანის მხრიდან მოკავშირეების ძებნის დიდ საჭიროებასაც მოიცავს.[12]

ღია წყაროებში არსებული დამატებითი მასალების დამუშავების შედეგად იკვეთება ისიც, რომ საუდის არაბეთის და საამიროების გარდა ორმხრივი თამაშის ტაქტიკას რუსეთის ფედერაციაც მიმართავს სუდანში. ქვეყანაში მიმდინარე

---

[9] Joshia Krasna. Analysis. Big Changes in United Arab Emirates Foreign Policy. Foreign Policy, April 18, 2023. Last modified Oct. 30, 2024. https://www.fpri.org/article/2023/04/big-changes-in-united-arab-emirates-foreign-policy/

[10] United Arab Emirates President Visit U.S. Middle East Policy Council. Last Modified Oct. 30, 2024. https://mepc.org/commentaries/united-arab-emirates-president-visit-u-s/

[11] Sudan's army rejects UAE's accusation it attacked ambassador's residence. Reuters, September 30, 2024. Last Modified Oct. 30, 2024. https://www.reuters.com/world/africa/uae-says-residence-its-ambassador-khartoum-attacked-by-sudanese-military-2024-09-29/

Sudan military denies targeting UAE diplomatic post in Khartoum. ALJAZEERA, 30 Sep 2024. Last modified Oct. 30, 2024. https://www.aljazeera.com/news/2024/9/30/sudan-military-denies-targeting-uae-diplomatic-post-in-khartoum

Arab outrage over alleged UAE embassy attack in Khartoum. Sudan War Monitor, Oct 04, 2024. Last modified Oct. 30, 2024. https://sudanwarmonitor.com/p/arab-outrage-over-alleged-uae-embassy

[12] Mariama Diallo. Analysts: Presence of foreign actors complicates Sudan war situation. Voice of America, June 20, 2024. Last modified Oct 30, 2024. https://www.voanews.com/a/analysts-presence-of-foreign-actors-complicates-sudan-war-situation/7663775.html

დაპირისპირების ფონზე რუსული მხარე თავისი სტრატეგიული ინტერესების დაცვის მოტივით ცდილობს აშშ-ის მიერ დატოვებული ძალის ვაკუუმის შევსებას და უკრაინული ძალებისთვის წინააღმდეგობის გაწევას, ვინაიდან როგორც ირკვევა, 100-დან 300-მდე უკრაინელი იბრძვის სუდანში. ამისათვის რუსეთი სუდანის შეიარაღებულ ძალებს იარაღით ამარაგებს და იგივე დახმარებას უწევს სწრაფი რეაგირების ძალებს ვაგნერელების მეშვეობით. აღნიშნულს ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის შეიარაღებული ოპოზიციის წყაროებიც ადასტურებენ და აღნიშნავენ, რომ რუსული დაჯგუფება საამიროების მეშვეობით ამარაგებს სწრაფი რეაგირების ძალებს და მათ ვაგნერის მებრძოლებიც დააკავეს 2024 წლის აპრილის ბოლოს.

რუსეთის ფედერაციამ ორივე მხარესთან ურთიერთობების დამყარება ბოლო შეიარაღებული კონფლიქტის ხელახალ აფეთქებამდე დაიწყო 15 აპრილიდან. დაპირისპირების დაწყებამდე რამდენიმე კვირით ადრე რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი ეწვია ხარტუმს, სადაც ცალ-ცალკე შეხვედრები გამართა ალ-ბურჰანისთან და ჰამიდთისთან. ლავროვის მოადგილე ბოგდანოვმა არმიის მიერ კონტროლირებულ სუდანის სუვერენიტეტის საბჭოს პირდაპირ განუცხადა, რომ ისინი ნამდვილად წარმოადგენდნენ სუდანელ ხალხს. საგარეო საქმეთა მინისტრს თან ახლდნენ სამხედრო პირებიც და შეხვედრაზე ხაზგასმით აღინიშნა ორი ქვეყნის მდიდარი გამოცდილება სამთო მომპოვებელ დარგში და გამოითქვა თანამშრომლობის შემდგომი გაფართოების იმედიც. რუსეთის ფედერაცია ასევე ცდილობს ჯერ კიდევ უმარ ლა-ბაშირთან დადებული შეთანხმება სუდანში წითელი ზღვის სანაპიროზე რუსული საზღვაო ბაზის მშენებლობაზე საბოლოოდ იქნას მიღწეული. ჯერ კიდევ 2023 წლის თებერვალში ხარტუმში გამართულ პრესკონფერენციაზე სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ ადრე მიღებული შეთანხმება მხოლოდ ლეგალიზებას საჭიროებს.[13]

რუსეთის ფედერაციის მხრიდან ორმხრივი თამაშის ტაქტიკა შესაძლოა შემდეგი ფაქტორითაც იყოს გამოწვეული; მას შემდეგ რაც 2023 წელს საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა მიიღო აფრიკის ზოგიერთი ქვეყნიდან გასვლის გადაწყვეტილება,[14] რუსეთმა წარმოქმნილი ვაკუუმის შევსება ეტაპობრივად დაიწყო აფრიკის რიგ ქვეყნებში ვაგნერელების მეშვეობით.[15] საკითხით დაინტერესებულ სპეციალისტთა ნაწილის აზრით რუსეთი მრავალმილიარდიან ოპერაციას ატარებს აფრიკაში თავის „საექსპედიციო კორპუსის“ მეშვეობით.

---

[13] Oscar Rickett and Mohammed Amin. Sudan war: Russia hedges bets by aiding both sides in conflict Middle East eye, 6 May 2024. Last modified Oct. 30, 2024. https://www.middleeasteye.net/news/russia-sudan-war-saf-rsf-hedges-bets-both-sides-support Kersten Knipp. Russia's military presence in Sudan boosts Africa strategy. Deutsche Welle, 06/16/2024. Last modified Oct. 30, 2024. https://www.dw.com/en/russias-military-presence-in-sudan-boosts-africa-strategy/a-69354272

[14] Why Emmanuel Macron is pulling French troops out of Niger. Economist, Sep 25th 2023. Last modified Oct. 30, 2024. https://www.economist.com/middle-east-and-africa/2023/09/25/why-emmanuel-macron-is-pulling-french-troops-out-of-niger

[15] What does the Wagner Group do? Operations in Africa and the rest of the world explained. Reuters, June 30, 2023. Last modified Oct. 30, 2024. https://www.reuters.com/world/europe/wagners-global-operations-war-oil-gold-2023-06-29/?fbclid=IwY2xjawGAZOpleHRuA2FlbQIxMQABHaEs7jYctuiUYnoB-2zp41Oqsa90T2hQ2Z86S-v_RLnocyPjQfgXZ4Ou-w_aem_2YxjDnHty2tU1YC2DNesSw

აღნიშნულს მოწმობს ისიც, რომ გაერთიანებული სამეფოს სამაუწყებლო კორპორაცია BBC გაეცნო რუსეთის მთავრობის შიდა დოკუმენტაციას და დეტალებს თუ როგორ მუშაობს ეს დოკუმენტაცია დასავლეთ აფრიკაში სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების შესახებ არსებული კანონების ცვლილებაზე, რაც თავის მხრივ დასავლური კომპანიების გამოდევნას ისახავს მიზნად. მალის, ნიგერის, ბურკინა-ფასოსა და ვაგნერის მჭიდრო ურთიერთობების მაგალითიდან იკვეთება, რომ საფრანგეთი როგორც ყოფილი კოლონიური ძალა არცთუ ისე დიდი სიმპათიით სარგებლობდა დასავლეთ აფრიკის რიგ ქვეყნებში, მიუხედავად იმისა, რომ წლების წინ ისლამისტური საფრთხის შეკავების გამო ფრანგული ძალები პოზიტიურად მიიღეს. თუმცა მას შემდეგ რაც რუსეთის მხარდაჭერის ფონზე დაჯგუფება ვაგნერმა აიღო ამ ქვეყნებში უსაფრთხოების დაცვაზე გარანტიები, ამ სახელმწიფოებმა აღნიშნული ცვლილება დიდი ენთუზიაზმით მიიღეს. მიუხედავად იმისა, რომ აფრიკელების დიდ ნაწილს მე-20 საუკუნის 70-იანი და 80-იანი წლებიდან რუსულ მხარესთან ურთიერთობის გამოცდილება აქვთ და ეს უკეთესი დროის მოგონებასთან ასოცირდება მათში, ამჯერად რუსეთის ჩართულობის მთავარი მიზეზი ის არის, რომ დასავლეთ აფრიკაში გადატრიალებების შედეგად გარდამავალ პერიოდში ხელისუფლებაში მოსული სამხედრო ძალები არჩევნების ჩატარების და დემოკრატიული პროცესების განვითარების ნაცვლად რუსული მხარის დახმარებით ძალაუფლების ბერკეტებს განუსაზღვრელი ვადით გააკონტროლებენ. მალის მაგალითიდან იკვეთება, რომ ეს ქვეყანა, რომელიც მდიდარია ფასეული და სტრატეგიული ბუნებრივი რესურსებით, როგორებიცაა: ოქრო, ურანი და ლითიუმი, ვაგნერმა გაწეული სამსახურის ხარჯების დაფარვის გარდა, ასევე მნიშვნელოვანი შემოსავლების მიღების მიზნით (მთლიანად მათ მიერ კონტროლირებადი აფრიკული ტერიტორიებიდანაც) უკანასკნელი ორი წლის მანძილზე მოიპოვა 2,5 მილიარდი დოლარის ოქრო. ამ ქვეყანაში სამთო მომპოვებელი კანონი არცთუ ისე დიდი ხნის წინ შეიცვალა, რომლითაც გადატრიალების შედეგად სათავეში მოსულ სამხედრო ძალებს ბუნებრივ რესურსებზე გაფართოებული კონტროლის უფლება მიეცათ. სპეციალისტთა აზრით აფრიკის ლითიუმის საბადოებზე რუსეთი კონტროლი კი საფრანგეთსა და მთლიანად ევროპას სტრატეგიულ პრობლემებს შეუქმნის მომავალში. ასევე სპეციალისტთა აზრით რუსული ნარატივი იმის შესახებ, რომ დასავლეთი კოლონიურ პოლიტიკას ატარებს, ირონიულად ჟღერს, რადგან რუსული მიდგომა, რომელიც ზემოთ აღნიშნული რეჟიმების ჯერ იზოლაციას, შემდეგ ელიტებზე კონტროლის დამყარებას და ბუნებრივი რესურსების ამოღებას ითვალისწინებს, სწორედ რომ კოლონიური პოლიტიკის გატარების მაგალითია.[16]

სუდანის კონფლიქტის გაღვივებას საკუთარი პოლიტიკური, ეკონომიკური, გეოპოლიტიკური ინტერესების დაცვის მიზნით ჩარეული ეგვიპტე, ისრაელი და თურქეთიც ძალაუნებურად უწყობენ ხელს. ამ სამიდან პირველი ქვეყნის პრეზიდენტის ‘აბდ ალ-ფათაჰ ას-სისის რეჟიმისთვის საფრთხეს წარმოადგენს მის მეზობელ ქვეყანაში სამოქალაქო ხელისუფლების და დემოკრატიის დამყარების

[16] Joe Inwood & Jake Tacchi. Wagner in Africa: How the Russian mercenary group has rebranded. BBC, 20 February 2024. Last modified Oct. 30, 2024.
https://www.bbc.com/news/world-africa-68322230?fbclid=IwY2xjawF8TvhleHRuA2FlbQIxMQABHUP9x0Dl1ik5bcSi7dFzlf7l6D38V62XtKvlf1DPGfV_7FUYGYCB__hTbw_aem_kg71yVI_QGokRdQ5h0BUPA

პრეცედენტი. ამიტომ იგი მხარს უჭერს სუდანის არმიას. ეგვიპტის პრეზიდენტისთვის სუდანელი სამხედროების ხელში ძალაუფლების ფლობა იმითაც არის მომგებიანი, რომ მას ექნება მეზობელ ქვეყანაზე კონტროლის დამატებითი საშუალება, რაც პირველ რიგში იმაში გამოიხატება, რომ სუდანი ვერ შეძლებს დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გატარებას, განსაკუთრებით მდინარე ნილოსზე დიდი ეთიოპიური აღორძინების კაშხლის მშენებლობის საკითხში, რაც სისის რეჟიმისთვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს და საფრთხეს უქმნის ეგვიპტის ინტერესებს.

2020 წელს ისრაელი და სუდანი ურთიერთობების ნორმალიზებაზე შეთანხმდნენ, თუმცა პროცესი სათანადო დოკუმენტზე ხელმოწერით არ დასრულებულა. ისრაელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თავისი ინტერესების გატარებას სუდანში, რამდენიმე მთავარი ფაქტორის გამო: პირველ რიგში ამ ქვეყანასთან ურთიერთობის ნორმალიზება საშუალებას მისცემს, აშშ-ის ექს-პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის მიერ დაწყებული აბრაამის შეთანხმების სახელით ცნობილი არაბეთ-ისრაელის ურთიერთობების ნორმალიზაციის პროცესი გაავრცელონ სხვა არაბულ ქვეყნებთან მიმართებაშიც. სუდანთან ურთიერთობის ნორმალიზება ისრაელს ასევე მისცემს თავის გეოსტრატეგიული ინტერესების გაფართოების საშუალებას წითელ ზღვასა და აღმოსავლეთ აფრიკის რეგიონში, განსაკუთრებით სომალის ნახევარკუნძულზე. ასევე გაძლიერდება მისი გავლენა სუბსაჰარული აფრიკის ქვეყნებში, რომლებთანაც ისრაელმა ბოლო ათწლეულების განმავლობაში მჭიდრო ურთიერთობები დაამყარა. ამასთან ისრაელს შეუძლია ისარგებლოს სუდანის მდიდარი სასოფლო სამეურნეო რესურსებითაც.

ამიტომ ამ ქვეყანამ უმარ ალ-ბაშირის პოსტიდან გადაყენების შემდეგ მჭიდრო კონტაქტები დაამყარა ალ-ბურჰანისთანაც და ჰამიდთისთანაც. 2020 წელს ალ-ბურჰანისა და ბენიამინ ნეთანიაჰუს საიდუმლო შეხვედრა მოხდა უგანდაში, სადაც ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების ნორმალიზებაზე შედგა მოლაპარაკება. ისრაელის ოფიციალური პირები ვიზიტით იმყოფებოდნენ ხარტუმში, სადაც რამდენჯერმე შეხვდნენ ალ-ბურჰანისა და ჰამიდთის. ორივე გენერალმა საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, სრული მზადყოფნა გამოხატეს ისრაელთან კავშირების გაღრმავებასთან დაკავშირებით.

გარდა ამისა, ბოლო წლებში ისრაელის მოსადმა მჭიდრო კონტაქტი დაამყარა ჰამიდთისთან. 2020 წელს გაერთიანებულ არაბულ საამიროებში საიდუმლო შეხვედრა გაიმართა ჰამიდთისა და მოსადის მაშინდელ შეფ იოში კოენს შორის. 2021 წელს მასთან კიდევ ერთ შეხვედრას ჰქონდა ადგილი ხარტუმში, რასაც ალ-ბურჰანის მხრიდან მძაფრი რეაქცია მოჰყვა. ისრაელი ცდილობდა შუამავლის როლი შეესრულებინა დაპირისპირებულ მხარეებს შორის, თუმცა მცდელობა უშედეგოდ დასრულდა.[17]

რაც შეეხება თურქეთს, 2023 წლის სექტემბერში ალ-ბურჰანი ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა თურქეთში. სუდანის დელეგაციაში იმყოფებოდნენ საგარეო საქმეთა მინისტრი, დაზვერვის შეფი და თავდაცვის ინდუსტრიის კორპორაციის გენერალური დირექტორი გენერალ ლეიტენანტი მირღანი იდრის

[17] Khalil Al-Anani. The Sudan Crisis: How Regional Actors' Competing Interests Fuel the Conflict. Arabcenterdc May 11, 2023. Last modified Oct. 30, 2024. https://arabcenterdc.org/resource/the-sudan-crisis-how-regional-actors-competing-interests-fuel-the-conflict/

სულეიმანი. თურქი დიპლომატისა და ანალიტიკოსების ნაწილი ამ უკანასკნელის ვიზიტს ჯერ კიდევ 2023 წელს უკავშირებდა სუდანის მხრიდან თურქეთიდან იარაღის შესყიდვის ინტერესს, რაც თავის მხრივ გავლენას მოახდენდა სუდანის კონფლიქტის მსვლელობაზე. სუდანის არმია აღნიშნულ კონფლიქტში სრულ საავიაციო უპირატესობას ფლობს, რაც ურბანულ არეალზე გამართულ ბრძოლებში გარკვეულ დონეზე ეცემა და ასეთ შემთხვევებში უპილოტო საფრენი აპარატები (დრონები) საუკეთესო გამოსავალია. აღნიშნული გამოწვევის დაძლევისთვის სწორედ თურქეთი განიხილებოდა 2023 წელს სუდანის შეიარაღებული ძალების მხრიდან.[18]

2024 წლის სექტემბერში კი, ლიბიის ინიციატივით, ამ ქვეყნისა და თურქეთის შუამავლობით, სუდანის კონფლიქტში დაპირისპირებულ მხარეებს შორის მოლაპარაკების გამართვის საკითხი დადგა, რასაც დადებითად გამოეხმაურნენ სუდანის საგარეო საქმეთა მინისტრი და თურქულმა მხარემაც მზად ყოფნა გამოხატა.[19] დამუშავებული ფაქტოლოგიური მასალების შესწავლის შემდეგ დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სუდანის კონფლიქტში ჩართული აქტორების მიერ გატარებული პოლიტიკის ფონზე იკვეთება შემდეგი სურათი: დღესდღეობით, სულ უფრო ნათელი ხდება, რომ რეგიონული და საერთაშორისო მსხვილი მოთამაშეების საგარეო პოლიტიკურ თამაშებში არის მხოლოდ ერთი პრინციპი, საკუთარი ინტერესები და უმეტესად უგულვებელყოფილია არა მხოლოდ კონკურენტების, არამედ პარტნიორების ინტერესებიც. ცივი ომის პერიოდთან შედარებით, როდესაც განვითარებადი ქვეყნების ხელისუფლებაში მყოფ პირებს თავიანთი შეხედულებისამებრ შეეძლოთ აერჩიათ გარე მფარველი დასავლური ან სოციალისტური ბანაკიდან და მეტ-ნაკლები სტაბილურობით ემართათ ქვეყანა ათეულობით წლების განმავლობაში, მსგავსი პრაქტიკა აღარ არსებობს. ცივი ომის პერიოდისგან განსხვავებით სიტუაცია იმითაც შეიცვალა, რომ ერთი პარტნიორის გარდა აფრიკის ქვეყნებს და მათ შორის სუდანს ფართო არჩევანი გააჩნიათ. ორი ბანაკის მაგივრად, დღეს ამ ქვეყანასთან ურთიერთობის გაღრმავებას ბევრი დამოუკიდებელი და ძლიერი სახელმწიფო ცდილობს. ამასთან სიტუაციას არაპროგნოზირებადს ხდის შემდეგი გარემოებაც, შესაძლოა მცირე ქვეყნებში დაწყებულ კონფლიქტებში ჩართული ესა თუ ის მხარე გარე პარტნიორზე იყოს დამოკიდებული, მაგრამ მისი გარე საიმედო ძალა მისსავე კონკურენტთანაც ცდილობდეს მჭიდრო ურთიერთობების დამყარებას, საკუთარი ინტერესების მიღწევის მიზნით. ასევე მეტ-ნაკლები სიცხადით გამოიკვეთა ისიც, რომ ყველა აქტორის, ამ შემთხვევაში შიდა და გარედან ჩართულის მთავარ ინტერესს არა რელიგიური, არა კონფესიური და არა იდეოლოგიური ინტერესები

[18] Mustafa Enes Esen. African Civil Wars and Turkey's Involvement in Sudan. Institude.org, September 17, 2023. Last modified Oct. 30, 2024. https://www.institude.org/opinion/african-civil-wars-and-turkeys-involvement-in-sudan

[19] Beatrice Farhat. Sudan's army ready for 'indirect' talks with Hemedti's RSF via Libya, Turkey. Al-monitor,
Mar 5, 2024. Last modified Oct. 30, 2024. https://www.al-monitor.com/originals/2024/03/sudans-army-ready-indirect-talks-hemedtis-rsf-libya-turkey
Türkiye ready to help facilitate peace in Sudan crisis: Envoy. Daily Sabah with Agencies, Sep 05, 2024. Last modified Oct. 30, 2024. https://www.dailysabah.com/politics/diplomacy/turkiye-ready-to-help-facilitate-peace-in-sudan-crisis-envoy

წარმართავს, არამედ თითქმის ყველა გადადგმული პოლიტიკური ნაბიჯის მოტივაცია ან სავარაუდო ნაბიჯების ხასიათის ძირითადი ინდიკატორი არის ფინანსურ-ეკონომიკური დაინტერესება.

ბიბლიოგრაფია - Bibliography

1) Who's who in Sudan's new civil war? Sudan War Monitor, Aug 31, 2023. Last modified Oct. 30, 2024. https://sudanwarmonitor.com/p/whos-who-in-sudans-new-civil-war
2) UN experts call for 'impartial force' to protect civilians in Sudan. ALJAZEERA, 6 Sep 2024. Last modified Oct. 30, 2024 https://www.aljazeera.com/news/2024/9/6/un-experts-call-for-impartial-force-to-protect-civilians-in-sudan
3) Who is 'Hemedti', general behind Sudan's feared RSF force? ALJAZEERA, 16 Apr 2023. Last modified Oct. 30, 2024. https://www.aljazeera.com/news/2023/4/16/who-is-hemedti-the-puppeteer-behind-sudans-feared-rsf-fighters
4) Sudan's popular uprising and the demise of Islamism. Munzoul A. M. Assal (2019), Bergen: Chr. Michelsen Institute (CMI Brief no. 2019:3) 4 p. Last modified Oct. 30, 204. https://www.cmi.no/publications/7062-sudans-popular-uprising-and-the-demise-of-islamism
5) Exclusive: Islamists wield hidden hand in Sudan conflict, military sources say By Khalid Abdelaziz. Reuters - June 28, 2023 Updated a year ago. Last Modified Oct. 30, 2024. https://www.reuters.com/world/africa/islamists-wield-hidden-hand-sudan-conflict-military-sources-say-2023-06-28/
6) Khalil Al-Anani. The Sudan Crisis: How Regional Actors' Competing Interests Fuel the Conflict. Arabcenterdc, May 11, 2023. Last Modified Oct. 30, 2024. https://arabcenterdc.org/resource/the-sudan-crisis-how-regional-actors-competing-interests-fuel-the-conflict/
   Джемаль Бустани. Война, которую мир предпочитает не замечать третья мировая. Haqqin.az, 29 сентября 2024. Last Modified Oct. 30, 2024. https://haqqin.az/news/328811?fbclid=IwY2xjawF0ZwNleHRuA2FlbQIxMQABHXIETYoOi2s_ias5Hd6I0iKdFI1cwdQoyhDZNpLJKxvKlbX6Cp2hTwZpAw_aem_Jpp5pcmPpwoiH2VAUfqCZg
7) Talal Mohammad, an associate fellow at the Royal United Services Institute. How Sudan Became a Saudi-UAE Proxy War. Foreign Policy, July 12, 2023, 12:29 PM. Last modified Oct. 30, 2024. https://foreignpolicy.com/2023/07/12/sudan-conflict-saudi-arabia-uae-gulf-burhan-hemeti-rsf/
8) Husam Mahjoub. It's an open secret: the UAE is fuelling Sudan's war – and there'll be no peace until we call it out. The Guardian, Fri 24 May 2024. Last modified Oct. 30, 2024. https://www.theguardian.com/commentisfree/article/2024/may/24/uae-sudan-war-peace-emirates-uk-us-officials
9) Joshia Krasna. Analysis. Big Changes in United Arab Emirates Foreign Policy. Foreign Policy, April 18, 2023. Last modified Oct. 30, 2024. https://www.fpri.org/article/2023/04/big-changes-in-united-arab-emirates-foreign-policy/

10) United Arab Emirates President Visit U.S. Middle East Policy Council. Last Modified Oct. 30, 2024. https://mepc.org/commentaries/united-arab-emirates-president-visit-u-s/
11) Sudan's army rejects UAE's accusation it attacked ambassador's residence. Reuters, September 30, 2024. Last Modified Oct. 30, 2024. https://www.reuters.com/world/africa/uae-says-residence-its-ambassador-khartoum-attacked-by-sudanese-military-2024-09-29/
Sudan military denies targeting UAE diplomatic post in Khartoum. ALJAZEERA, 30 Sep 2024. Last modified Oct. 30, 2024. https://www.aljazeera.com/news/2024/9/30/sudan-military-denies-targeting-uae-diplomatic-post-in-khartoum
Arab outrage over alleged UAE embassy attack in Khartoum. Sudan War Monitor, Oct 04, 2024. Last modified Oct. 30, 2024. https://sudanwarmonitor.com/p/arab-outrage-over-alleged-uae-embassy
12) Mariama Diallo. Analysts: Presence of foreign actors complicates Sudan war situation. Voice of America, June 20, 2024. Last modified Oct 30, 2024. https://www.voanews.com/a/analysts-presence-of-foreign-actors-complicates-sudan-war-situation/7663775.html
13) Oscar Rickett and Mohammed Amin. Sudan war: Russia hedges bets by aiding both sides in conflict. Middle East eye, 6 May 2024. Last modified Oct. 30, 2024. https://www.middleeasteye.net/news/russia-sudan-war-saf-rsf-hedges-bets-both-sides-support
Kersten Knipp. Russia's military presence in Sudan boosts Africa strategy. Deutsche Welle, 06/16/2024. Last modified Oct. 30, 2024. https://www.dw.com/en/russias-military-presence-in-sudan-boosts-africa-strategy/a-69354272
14) Why Emmanuel Macron is pulling French troops out of Niger. Economist, Sep 25th 2023. Last modified Oct. 30, 2024. https://www.economist.com/middle-east-and-africa/2023/09/25/why-emmanuel-macron-is-pulling-french-troops-out-of-niger
15) What does the Wagner Group do? Operations in Africa and the rest of the world explained. Reuters, June 30, 2023. Last modified Oct. 30, 2024. https://www.reuters.com/world/europe/wagners-global-operations-war-oil-gold-2023-06-29/?fbclid=IwY2xjawGAZOpleHRuA2FlbQIxMQABHaEs7jYctuiUYnoB-2zp41Oqsa90T2hQ2Z86S-v_RLnocyPjQfgXZ4Ou-w_aem_2YxjDnHty2tU1YC2DNesSw
16) Joe Inwood & Jake Tacchi. Wagner in Africa: How the Russian mercenary group has rebranded. BBC, 20 February 2024. Last modified Oct. 30, 2024. https://www.bbc.com/news/world-africa-68322230?fbclid=IwY2xjawF8TvhleHRuA2FlbQIxMQABHUP9x0Dl1ik5bcSi7dFzlf7l6D38V62XtKvlf1DPGfV_7FUYGYCB__hTbw_aem_kg71yVI_QGokRdQ5h0BUPA
17) Mustafa Enes Esen. African Civil Wars and Turkey’s Involvement in Sudan. Institude.org, September 17, 2023. Last modified Oct. 30, 2024. https://www.institude.org/opinion/african-civil-wars-and-turkeys-involvement-in-sudan
18) Beatrice Farhat. Sudan’s army ready for 'indirect' talks with Hemedti’s RSF via Libya, Turkey. Al-monitor, Mar 5, 2024. Last modified Oct. 30, 2024. https://www.al-

monitor.com/originals/2024/03/sudans-army-ready-indirect-talks-hemedtis-rsf-libya-turkey Türkiye ready to help facilitate peace in Sudan crisis: Envoy. Daily Sabah with Agencies, Sep 05, 2024. Last modified Oct. 30, 2024. https://www.dailysabah.com/politics/diplomacy/turkiye-ready-to-help-facilitate-peace-in-sudan-crisis-envoy